საქართველო
ხარაგაული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 134

08/06/2017

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობად განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 125-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობების ფუნქციათა ერთობლიობის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, (ოქმი N1)

ვბრძანებ:

1. ამ ბრძანების დანართში მითითებული თანამდებობები 2017 წლის 1 ივლისიდან გარდაიქმნას პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობებად.

2. დაევალოს საკრებულოს აპარატს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დასაქმებული პირების დანიშვნის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ პროექტების მომზადება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარე